საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 51-03
24/01/2024

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 22 იანვრის N821-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობა სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გადასვლის მსურველთათვის ან ამავე ფაკულტეტის ფარგლებში გამოცხადდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დანართში მითითებულ პროგრამებზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ განცხადებების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2024 წლის 14 თებერვლის 18:00 საათის ჩათვლით;
3. სტუდენტთა მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ განაცხადი უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
4. 2020-2021 სასწავლო წლამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე შიდა მობილობის მსურველ პირებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ ერთ-ერთი საგანი:
   ა) მათემატიკა;
   ბ) გეოგრაფია;
   გ) ფიზიკა;
   დ) ქიმია;
   ე) ბიოლოგია.
5. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა, უნდა წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ამავე პუნქტში მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;
6. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტი არ ეხება სტუდენტებს, რომელთაც ზოგადი მოდულის ფარგლებში წარმატებით აქვთ გავლილი შესავალი კურსი/კურსები ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი ან საინჟინრო ბლოკიდან.

7. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტი არ ეხება სტუდენტებს, რომლებიც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული არიან კანონმდებლობით დადგენილილ წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს;

8. 2020-2021 სასწავლო წელს და შემდგომ ჩარიცხულ პირებს, რომელთაც სურთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე შიდა მობილობა, ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამოცდები;

9. 2020-2021 სასწავლო წელს და შემდგომ ჩარიცხულმა შიდა მობილობის მსურველმა პირებმა, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ პროგრამაზე, რომელიც მესამე ან/და მეოთხე საგნად ითხოვს, იმ საგნისგან განსხვავებული გამოცდის ჩაბარებას, რომლითაც ისინი ჩაირიცხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიმღებ პროგრამაზე საჭირო მესამე ან/და მეოთხე გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ გამოცდებში მიღებული ნედლი ქულის მითითებით;

10. ის სტუდენტები, რომლებიც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, შიდა მობილობაში მონაწილობას მიიღებენ კონკურსგარეშე და არ იქნებიან გათვალისწინებული ვაკანტური ადგილების რაოდენობაში;

11. სამაგისტრო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის;

12. სამაგისტრო პროგრამაზე - „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ მობილობის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში, ასევე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ასევე წარმატებით უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა;

13. სამაგისტრო პროგრამაზე - „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები), მიმართულება - მოლეკულური ბიომეცნიერებები“ მობილობის მსურველს სასურველია ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, ან ჯანდაცვის სფეროში. ასევე, წარმატებით უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა;

14. სამაგისტრო პროგრამაზე ფიზიკა და ასტრონომია მობილობის მსურველს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკაში, მათემატიკაში, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში, ინჟინერიის და საინჟინრო საქმის სფეროში, ასევე წარმატებით უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა;

15. ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე „ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები“ მობილობის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკის, ასტრონომიის, მათემატიკის, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ან კომპიუტერული მეცნიერებების დარგში, ასევე წარმატებით უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა;

16. მე-15 პუნქტით განსაზღვრული პროგრამაზე მიღების პირობა ითვალისწინებს ინგლისური ენის ფლობას CEFR-ის B2 ან უფრო მაღალ დონეზე. ინგლისური ენის კომპეტენციის დასადასტურებლად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან ერთერთი:

ა) აღიარებული და ვალიდური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი;

ბ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა გაცემული უნივერსიტეტის ან კოლეჯის მიერ, რომელიც ადასტურებს, რომ წინა საფეხურზე სწავლების ენა იყო ინგლისური.

17. მე-16 პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის სერტიფიკატების მინიმალური ქულებია:

• Test of English as a Foreign Language (TOEFL) paper-based test (PBT) 513

• TOEFL internet-based test (iBT) 65

• TOEFL computer-based test (CBT) 183

IELTS

• Academic; Band score 5.5

Cambridge ESOL (English for Speakers of Other Languages)

• Certificate of Advanced English (CAE): 160/Level B2 (also grades A/B/C)
• First Certificate in English (FCE): 160/Grade C (also grades A/B)
• Business English Certificate (Higher BEC): 45/Level B2 (also grades A/B/C)
• Business English Certificate (Vantage BEC): 60/Grade C (also grades A/B)
• Business Language Testing Service (BULATS): 60 overall
• Pearson Test of English (PTE); General level 3)
• Pearson Test of English-Academic; 59-75 points
TELC (The European Language Certificates)
• TELC English B2: Pass
Michigan (Cambridge Michigan)
• Examination for the Certificate of Proficiency in English (ECPE): Low Pass
• Examination for the Certificate of Competency in English (ECCE): Pass
• Michigan English Language Assessment Battery (MELAB): B2

18. მე-16 პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობის მოთხოვნისგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომელთა მშობლიური ენა არის ინგლისური ან რომელთაც დაასრულეს ინგლისურენოვანი საშუალო სკოლა / უნივერსიტეტი იმ ქვეყანაში, სადაც ინგლისური წარმოადგენს ოფიციალურ ენას;
19. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე შიდა მობილობის მსურველი პირების რეიტინგი დგება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ქულების საფუძველზე;
20. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 23 თებერვალი;
21. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მილევად პროგრამაზე მობილობის შესაძლებლობას განსაზღვრავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი და დაუყოვნებლივ აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას მობილობის მსურველ პირს, რათა მან სურვილის შემთხვევაში, შეძლოს სხვა ფაკულტეტზე ან პროგრამაზე გადასვლა;
22. იმ სტუდენტთა მონაცემები, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რომლის საფასური სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში მიეწოდოს ინდივიდუალურად;
23. შიდა მობილობის შესახებ შესაბამისი შედეგების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 26 თებერვალი;
24. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 1 მარტი;
25. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, არგუსსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 1 დღის ვადაში;
26. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
27. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიერ მომზადებული დასკვნებსა და წარმოდგენილ დანართში მითითებულ პროგრამის სახელწოდებების სისწორეზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ ფაკულტეტის დეკანი და პირი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას;
28. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, ფაკულტეტზე შექმნას ჯგუფი, რომელიც მოახდენს შიდა მობილობის პროცესის უზრუნველყოფას;
29. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, შიდა მობილობის შედეგების ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში
30. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

31. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

32. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

33. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი